საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 25 იანვარი, 2023 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/22

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მენეჯმენტის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოყვანისა და დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 25 იანვრის N MES 1 22 0000065812 ბრძანების, განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2023 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებისა (ოქმი N32) და განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2023 წლის 24 იანვრის N 03 წერილის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შესაბამისობაში იქნას მოყვანილი სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მენეჯმენტის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელთან და დამტკიცდეს დანართის შესაბამისად.

2. ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები გადაყვანილ იქნან ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დღემდე მოქმედი სასწავლო სტრუქტურის გათვალისწინებით, ხოლო 2022-2023 სასწავლო წელს ჩარიცხული ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები ახალი სასწავლო სტრუქტურის გათვალისწინებით.

3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **თ. კეჟერაძე**